

მერაბ ბერიძე, მაია ქუჩიუშიძე

**ბერძნული სახელები მესურ ტოპონიმიაში
(სირონი)**

სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ადგილის სახელდებაში მონაწილეობს სიტყვა სირონი. ადგილის რაიონში ნასოფლარ ორჭიშნის ზევით თურქეთის საზღვრამდე არის მაღალი ქვა, რომელსაც **სირონი** ჰქვია, ხოლო მის შემოგარენს **სირონები**.

სირონი || **სირონები** ყანების სახელია ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთსა და ზველს შორის. სირონები ორივე სოფლისთვის საერთო სახელია.

ჯავახეთში არის სირონი „სოფელ ქილდისა და თოკის მინდორი“ (ბერიძე 1981, 201).

სირონი || **სირონები** ერთი სიტყვის ორი ვარიანტია, რომელთაგან ერთი მეტათეზისის შედეგია, კერძოდ, სირონი არის ძირითადი ფორმა მესხეთში.

გარდა ამისა, რომ სირონი შემოგვინახა ტოპონიმიაში, მესხურ დიალექტშიც (სამცხურსა და ჯავახურში) დაფიქსირებულია ეს სიტყვა. აღნიშნავს მიჯნას, საზღვარს (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984, 495). მიჯნად და საზღვრად განმარტავს გ. ზედგენიძის ხელნაწერი „ჯავახური ლექსიკა“ (გვ. 421), სირონის კიდევ ერთ ვარიანტს „სირუნს“ უმატებს ა. მარტიროსოვი, რაც სომხური საკუთარი სახელის ანალოგიის შედეგი უნდა იყოს და მოჰყავს შემდეგი მაგალითები: „თურქეთის სირონზე გადავიდა. ვარგავის სირუნში გზა გადაუჭრეს“ (მარტიროსოვი 1984, 244).

სირონს იცნობს იმავე მნიშვნელობით, რომლითაც ცნობილია სამცხურსა და ჯავახურში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი (ჩუბინაშვილი 1964, 1177), რომელზე დაყრდნობითაც იძლევა ისეთივე განმარტებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ტ. VI, 1057).

სირონს, საზღვარს, მიჯნას სხვადასხვა სახე ჰქონდა სამცხესა და ჯავახეთში. ტოპონიმურმა მასალამ გვიჩვენა, რომ **სირონი** შეგვხვდა ადგილის აღმნიშვნელად სოფელთა შორის. კერძოდ, ჭობარეთსა და ზველს შორის, მუსხსა და ლობიეთს შორის. მოვიყვანთ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალას, რომელშიც **სირონი** || **სირონის** მნიშვნელობა და დანიშნულება კიდევ უფრო კარგად ჩანს. სირონი არის დაუმუშავებელი ადგილი ნაკვეთებს შორის. მისი დამუშავება არ ითვლება კარგ საქმედ. „ამ დალოცვილმა სულ გადაბარა, სირონიც არ დატოვა“.

კეთდებოდა სპეციალური სირონი იმ ყანებში, რომლებიც დანაწილებული იყო სხვადასხვა ნაკვეთად. ითხრებოდა დაახლოებით ნახევარ მეტრზე მეტი ორმო, იმხელა, რომ გუთნის საკვეთი არ ჩასცდენოდა. ძირზე ჩაჭრიდნენ ნახშირს. ნახშირი მიწაში არ ირევა, ამიტომ მისი წაშლა შეუძლებელია. ნახშირს

ზევიდან წვრილ ქვას დააჭრიდნენ (ყანიდან აკარკულუს). ქვაყრილი რომ ამოსცდებოდა ორმოს ზედაპირს, ჭორტს დადგამდნენ. ჭორტი წაგრძელებული ქვა იყო. ასე შექმნილი სირონი საიმედო იყო და წმინდად ითვლებოდა. გუთნისდედას უფლება არ ჰქონდა სირონი წაექცია და, თუ ეს მოხდებოდა, ასეთ გუთნისდედას მეორედ აღარ მოიყვანდნენ და აღარ მოახვნივინებდნენ.

მინდვრების და ყანების გასამიჯნად უფრო მარტივი სირონიც კეთდებოდა: „ადრე სად იყო ღობით შემოკვრა, სირონად ქვებს დალაგებდნენ და ეს ყოფდა ნაკვეთებს ხიზაბავრაში“. შემდეგ კი განმარტავდნენ: „სირონი არის ყანისა, მაშინ სად იყო შემოკვრა, კარკალს დაყრიდნენ ან ყორეს გააკეთებდნენ, ანდაც ჭორტს დადგამდნენ თავ-ბოლოში და ეს იყო სირონი ანუ საზღვარი“. „ჩონი სირონი აქ გადისო, იტყოდა ძველი ხალხი“. „არალსა და უდემი ეკლებიან მავთულს ჭიმავედნენ, ან ქვებს ალაგებდნენ თავ-ბოლოს და ისე ყოფდნენ სირონს. უდისა და არლის სირონზე ვცხოვრობო — იტყვიან იქ მცხოვრებნი.

მართალია, დიალექტურ მასალაში არ დაიძებნა, მაგრამ ჩვენ დავადასტურეთ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ვანის რაიონის სოფელ რომანეთში, სადაც ისევე აკეთებდნენ სირონებს, როგორც მესხეთში. ამოიღებდნენ მიწას და ქვებს ჩაალაგებდნენ ყანების სირონად. „ჩემს სირონზე გადმოიწია“ — ნიშნავს, რომ მეზობელს წაართვა მიწა.

ამგვარად, სირონი ფართოდ გამოიყენება სამცხე-ჯავახეთის დიალექტურ ლექსიკაში — ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხისა და აღიგენის რაიონებში და ნიშნავს საზღვარს, მიჯნას ყანებს, სოფლებს ან ქვეყნებს შორის.

სირონი შემოსულია ბერძნული ენიდან, რის შესახებაც ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა მიუთითა და გაიმეორა მასზე დაყრდნობით ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონმა.

ახალი ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში გ. ბაბინოტისი სინორს (Τὸ σῦριον) ასე განმარტავს ნამდვილი ან აზრობრივად გავლებული ხაზი, რომელიც ორ ადგილს ან ორ ქვეყანას ყოფს; ერთი ქვეყნის რეგიონი, რომელიც სასაზღვრო ხაზთან ახლოს მდებარეობს τὰ σῦριον მრავლობით რიცხვში იხმარება, გეოგრაფიული პერიფერიების აღსანიშნად — საგარეო და შიდა საზღვრები; ორი მდგომარეობის — მაგ., სიცოცხლისა და სიკვდილის — საზღვარი. ხოლო მის ეტიმოლოგიას ასე ხსნის: τὸ σῦριον კომპოზიტი სიტყვაა, σῦ + ῥιον, სადაც σῦ ძველი ბერძნული ენის თავსართია, რაც რაიმეს ერთობლიობას, საერთოს (თანა) ან ურთიერთს ნიშნავს, ხოლო ῥιον — დასასრულს, საზღვარს ნიშნავს (ბაბინოტისი 2002, 1710). ასევე დასტურდება ყველა ახალი ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში, მათ შორის მ. ტრიანდაფილიდისის ლექსიკონშიც (ტრიანდაფილიდისი 2002, 530, 531).

სინორი თურქულში შემოსულია *sinir* თორმით.

სამცხე-ჯავახეთში საზღვარს და სინორს გვერდში უდგას ამავე მნიშვნელობით სამანი — „საზღვარი, მიჯნა — ზღვაჩი ჩაყვარე სამნები“ (მარტიროსოვი, 1984, 243). ამ სიტყვას გრ. ბერიძე სამანე ფორმით იცნობს (გრ. ბერიძე 1981, 111), სულხან-საბა ორბელიანი სამანის შესახებ ამბობს, რომ ის „სომხურია“, საზღვარს ჰქვია (ს.ს. ორბელიანი 1986, 39), სინამდვილეში

სამანი სპარსული სიტყვაა და „ზომა“, „საზღვარს“ ნიშნავს. აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1. საზღვარი, მიჯნა... 2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად (ქეგლ VI, გვ., 686). შდრ. საჰმან — სომხ. საზღვარი, სინორ — საზღვარი (პრ. აჭარბანი, 162).

ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ჭორტი, აღმართული ქვა ან ქვაყრილი და სირონი ერთმანეთის მაგივრად იხმარება, ისევე როგორც სამანი. ბოლო დრომდე სამივე (ქართული, სპარსული და ბერძნული) სიტყვა პარალელურად ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდებოდა, სამანი და სირონი ენათა კონტაქტების საფუძველზეა გაჩენილი ქართულში.

ლიტერატურა

ბერიძე 1981 — გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981.

ზედგენიძე — გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკა, ხელნაწერი.

მარტიროსოვი 1984 — ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

ორბელიანი 1966 — ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV-2, თბილისი, 1966.

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი 1964 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1964.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი, 1960.

აჭარბანი 1979 — პრ. აჭარბანი, სომხურ ფუძეთა ლექსიკონი, ტ. IV, ერევანი, 1979.

ბაბინოტისი 2002 — Μπαμπινιώτης Γ. Λεξικό της Νέας Ελληνικής, 2002.

ტრიანდაფილიდისი 2002 — Τριανταφυλλίδη Μ. Λεξικό της Νέας Ελληνικής, 2002.

MERAB BERIDZE, MAIA KUKCHISHVILI

Greek Names in Meskhian Toponymy (*sinori*)

S u m m a r y

In the toponymy and speech of Samtskhe-Javakheti *sinori* is used with the meaning of boundary, limit. *Sinori* is a Greek word and entered the dialect. Along with it Persian *saman* was used. These two lexical units were lost and Georgian *sazgvári* takes their place.